არაფორმალური განათლების მნიშვნელობა მოზარდის ცხოვრებაში

ავტორი: ნანა ვერულაშვილი

ცნება – არაფორმალური განათლება – საქართველოს განათლების სისტემაში 2005-2007 წლებში გატარებული რეფორმების შემდგომ გაჩნდა. სხვადასხვა კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ უმეტესი წილი, ფორმალური განათლების პარალელურად, სწორედ არაფორმალური გზით მიღებულ განათლებაზე მოდის. შესაბამისად, მოსწავლე, მასწავლებელი და მშობელი თანხმდება, რომ, მოსწავლისთვის ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენაში.

ფორმალურ განათლებაში თუ წინასწარ არის განსაზღვრული პროგრამა, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის მოთხოვნებზეა აგებული და მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას აძლევს, ეხმარება კარიერის დაგეგმვაში, მნიშვნელოვანია მისი როლი პროფესიულ განათლებაში, რომელიც აუცილებელი რგოლია განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

არაფორმალური განათლება ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლენას უწყობს ხელს. რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას.

არაფორმალური განათლება მოიაზრებს არაფორმალური სივრცის არსებობას. სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არაფორმალური სივრცის შექმნა უნდა იყოს, რაც გულისხმობს სახელოვნებო გარემოს. ასეთი გარემოს შექმნას სასკოლო პროექტები განაპირობებს.

საინტერესო და თანამედროვე სკოლა თავისუფალი გაკვეთილებით, განახლებული სასწავლო პროგრამებით ხელს შეუწყობს, მოსწავლეს ადრეულ ასაკშივე პროფესიული/სახელოვნებო განათლების მიმართ ინტერესი ჩამოუყალიბდეს.

დაახლოებით 10 წელია, ვმუშაობ მოზარდებთან. მათთან ერთად ვახორციელებ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამას. ყველა განხორციელებულმა აქტივობამ აჩვენა, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებში მაღალი აკადემიური

მოსწრების და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე თანაბარი ინტერესით ერთვება.

თუ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე თვლის, რომ მისთვის სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობა საინტერესოა, ამავე დროს, აცნობიერებს, რომ მისი ჩართულობით დაგეგმილი ღონისძიებაც პროდუქტიული იქნება. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლისთვის მსგავსი შეთავაზება არის წარმატების საწინდარი. მოსწავლე თავდაჯერებული და მეტად მოტივირებული ხდება.

პირისპირ და დისტანციური სწავლების დროს მოზარდებს, ინტერესების სწორად წარმართვისთვის, მეტი შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობები სჭირდებათ.

არაფორმალური განათლების მიმართულებით, სკოლაში დავგეგმე მოსწავლეთა შემოქმედებითი ხელოვნების ფესტივალი სახელწოდებით „მე შემოქმედი“. ფესტივალის მიზანი იყო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს კლასების მიხედვით ემუშავათ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაზე და შეექმნათ ნიმუშები. ფესტივალმა გააერთიანა ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა სახვითი ხელოვნება, გამოყენებითი ხელოვნება, ლიტერატურა, კინოხელოვნება. გაიმართა ონლაინ გამოფენები, მასტერკლასები, შეხვედრები, სადაც მოსწავლეებმა მშობლებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნეს საკუთარი და მეგობრების ნამუშევრები. ფესტივალმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას, ჯგუფში მუშაობის, ერთმანეთზე ზრუნვის, თანაგანცდის უნარის გამოვლენას.

ხელოვნების ფესტივალი „მე შემოქმედი“ ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში. მასში მონაწილეობა მიიღეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა. ფესტივალის თემები და მიმართულება დაიყო კლასების მიხედვით.

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კალიგრაფიის კონკურსში, აქტივობაში -„მისწერე ბარათი მეგობარს“. აქტივობის განხორციელებამდე მოსწავლეებისთვის ჩატარდა შეხვედრები, სადაც ბავშვებმა მოისმინეს საინტერესო ამბავი, სად შეიქმნა პირველი მისალოცი ბარათი, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში მეგობრისგან, მშობლისგან ან შვილისგან მიღებული ბარათი. ისაუბრეს ბარათის მიღებისას გამოწვეულ ემოციაზე. ყურადღება გაამახვილეს და აღნიშნეს, რომ ოჯახის წევრები – დედა, ბებია დღემდე ინახავენ მათ მიერ სხვადასხვა დღესასწაულზე მირთმეულ ბარათებს. ამჯერადაც ბარათები თავად შექმნეს და ადრესატებიც კლასიდან აირჩიეს. წერილები ეხებოდა საახალწლო მილოცვებს, წერდნენ, რომ ძალიან მოენატრათ კლასელებთან ერთად საკლასო ოთახში ყოფნა, თამაში. უმეტესობამ ბარათებს ხელნაკეთი საახალწლო სათამაშოები დაურთო. ბავშვებმა სათამაშოები სხვადასხვა ნივთებიდან დაამზადეს. ფესტივალის მსვლელობის პერიოდში, ერთმანეთს უზიარებდნენ ვიდეოებს,

გამოცდილებას, რა მასალა გამოიყენეს, ვინ ასწავლა ხელნაკეთი სათამაშოს დამზადება. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობა. მშობლები შვილებს უზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას. მათი დახმარებით ბავშვებმა ისწავლეს და შექმნეს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ეტაპობრივად, სკოლის სოციალურ გვერდზე ეწყობოდა ონლაინ გამოფენები.

ფესტივალი შემოდგომაზე დაიგეგმა. თავდაპირველად იყო სურვილი, ფესტივალი კინოხელოვნების მიმართულებით ჩატარებულიყო. იდეას წინ უძღოდა სკოლაში საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება -„კინო სკოლაში“. პროექტი „კინო სკოლაში“ პანდემიის პერიოდში დავიწყეთ. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა შეხვედრები ZOOM პლატფორმაზე. სინთეზური ხელოვნების ვირტუალური სამყარო იქცა საოცარ და სასურველ ადგილად, სადაც ვსაუბრობდით კინოზე, ვუყურებდით ფილმებს, ვმსჯელობდით. პროექტის ფარგლებში, სახლის პირობებში ვაკეთებდით ვიდეო სიუჟეტებს, გადაცემებს. ასე დაიბადა ფილმის შექმნის იდეაც. მოსწავლეებმა შეარჩიეს ტექსტი. დაევალათ შერჩეულ ტექსტზე ფილმის გადაღება. ტექსტის შერჩევის ფორმა ორიგინალური და სახალისო იყო. ერთ-ერთმა მოსწავლემ, შერჩევის გარეშე, წაიკითხა ფრაზა ტექსტიდან, რომელიც პირველი მოხვდა მისი თვალთახედვის არეში. ასე შეირჩა ფრაზა და ფილმის სახელწოდება – „ძაღლის ყეფა შემოესმა ამ ფიქრებში გართულს“.

ფილმების ბმული:

ფილმის N 1 https://youtu.be/PWy43xBBy0g

ფილმის N 2 https://youtu.be/yXPSEd5D0Ug

პანდემიის გამო ყველა ინდივიდუალურად მუშაობდა. ფილმები გადაიღეს ტელეფონით. ოპერატორის, მემონტაჟის, მსახიობის, რეჟისორის ასისტენტის და ა. შ. როლები ოჯახის წევრებმა მოირგეს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები დაესწრნენ კინომცოდნე ქეთი გავვას, კინორეჟისორ გიორგი ოვაშვილის, ფოტოხელოვან გოგა ჩანადირის, პოეტ ანასტასია კალანდაძის, ლიტერატორ ნინო პატაშურის მასტერკლასებს.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია სახელწოდებით „ხელოვნებაა თავად უკვდავება“. საკონფერენციოდ წარმოდგენილი თემები იყო: პირველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, მე-11 საუკუნის სამი კათედრალი, თბილისის ოპერის თეატრის ისტორია, ქართული კინოს

დაბადება, სინემატოგრაფიიდან – კინოხელოვნებამდე, კედლის მხატვრობა, ლადო გუდიაშვილის შემოქმედება, ნიკალა – თვითნასწავლი გენიოსი, ქართული თეატრი.

მოსწავლეებმა ისწავლეს წიგნთან მუშაობა, საჯაროდ გამოსვლის უნარ-ჩვევებსაც გაეცვნენ, იპოვეს ინტერესის სფერო, გაუჩნდათ მოტივაცია, დაებადათ სურვილი – თავადაც შექმნან.

თავდაპირველად ვშიშობდი, რამდენად გაამართლებდა დისტანციურად დაგეგმილი ღონისძიებები... მაგრამ ყველა იმ განხორციელებული აქტივობის, ღონისძიების თუ პროექტის შედეგი ნამდვილად ღირდა ამად, რადგან მოსწავლეებში ამ ტიპის ღონისძიებებმა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას შეუწყო ხელი.